საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. სამშაბათი, 25 მარტი 1919 წ. პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზეთი დგება: 1 თვით 18 მანეთი ფოდან ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც მარტივ გვერდზე, ისე ბოლოსნაწილ. ბეჭდვის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სიჩქარით განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა ოვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ეკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ ნიწერ-მოწერას კისრულობს.

ბევრის სიმწერლებმა ფული შემოგვიგზავნეს. უნდა გამოგვიგზავნონ: თბილისი, ფოსტა ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მიღებულ მოლაპარაკებაზე შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციასა და კანტორის ადრესი: თბილისი, ალექსანდრეს ბრიტანეთი № 34.

ტელეფონი 16—62.

№ 67 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 67

მწუხარებაში ყოფ. მეუღლე სოფ. ო გრიგოლის ასული, შვილები: საშა, ვერა და მარუსა ჯანგიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ სამშაბათს, 25 მარტს, დილით 10 საათზე სამების ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდ ძვირფასი და დაუვიწყარის მეუღლის

ფედორე პეტრეს ძე ჯანგიძის

სულის მოსახსენებლად.

გულქოლეტნი უდროოდ გარდაცვლილის გაიო ძმები: იოანე და მიხეილი, რძლები: პელაგია, ზენობიერი და ლიზა, ძმის წულები: გიორგი, სიმონი, არჩილი, ოლგა, ტასო, ნინო, მარო, ელენა და სხვ. ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ნიკოლოზ (ნიკა) გიორგის ძე ცაგიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, ცაბიდან გამოთ ვენებენ. დილით 10 საათზე (ყაზბეგის შესახვევი № 2) ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა დ. დ-ბის სასაფლაოზე.

გაუბედურებული მეუღლე ევგენია პანტელეიმონის ასული, ბიძა: მღვდელი ალექსი, ძმები: ნიკო და იოსებ კაციას ძენი, რძლები: ანნა (ცაცა) იოანეს ასული და კატო ნიკოლოზის ასული კურცხალიები, დები: პოლიქსა აბაშიძისა, ევა იაშვილისა და ცაცა ჩხეიძისა, სიძეები ლენტორ ივანეს ძე აბაშიძე, რომან იოსების ძე იაშვილი და კოლია იოსების ძე ჩხეიძე გულითადს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მლვდლის

გიორგი (გიგა) კურცხალიას

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სოფ. არგვეთში ამა მარტის 26 რიცხვი დილ ოთხშაბათს.

ორი გაფიცვა

ორჯერ გაიფიცნენ ჩვენს მთავრობას, ერთი ტყიბულში, მეორე თფილისის თვითმართველობაში. პირველნი იყვნენ მუშები. მეორენი მოხელე ჩინოვნიკები. ორივეჯერ მთელმა მუშათა კლასმა, დემოკრატიამ დაგმო ასეთი გამოსვლა, წინდაწინვე მოუწოდა გაფიცულთ ხალხის ნდობით აღჭურვილთაგმი მათაც ნდობა გამოეტანათ, საერთო გაჭირვებისთვის ყურადღება მიექციათ და სხვებთან ერთად ეწვიათ ჭაპანი დემოკრატიული შემოქმედებისა.

მაგრამ ამათ დარჩა დემოკრატიის ხმა. ტყიბულის მუშებმა, რომელნიც წამოეგენ პროვოკატორულ აგიტაციის ენკენსზე, სწორეთ უმუშვერვალეს გასაჭირის დროს უმტყუნეს მთავრობას, თითქმის მთელი რკინის გზა დაგდეს უქვანახშირთ და რომ შეშა არ გამოგვეწინოდა, მთელი მოძრაობა უნდა შეჩერებულიყო.

ამრიგად ტყიბული მთელი დემოკრატიის გასაჭირზე სცდილობდა თავის ბედნიერების აგებას, მთავრობის დამარცხებას.

თფილისის თვითმართველობის მოსამსახურენი უარესათ იქცევიან. მათი საბუთი ბრძოლისა ისაა, რომ დემოკრატიას ახლა მუსრს ავლებს შავი სიბნელი. ქალაქი უკიდურეს მდგომარეობაშია და მაზასადმე შეუძლიათ ლანძღვარი ჩასცენ მას.

ვინ იფიცება? არა მუშები, თვითმართველობისა, არა ისინი, ვინც ძველ რეჟიმის დროს იბრძოდა, არამედ ისინი, ვინც მაშინ მუცლით ხოხავდა ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე ვინც მაშინ ფიხთა მტაცერის მლოკველი იყო, ის დღეს უკიდურეს მემარცხენის მანტიას ისხამს და დემოკრატიას ებრძვის. რეაქცია წითელ სასოსელში გახვეული! მაგრამ ვის მოატყუებს ეს გარემება.

ვერავის ისე, როგორც ვერავინ მოატყუა ტყიბულის მუშების სახელწოდება. ისინიც წინეთ მეტათ მორჩილ იყვნენ ძველი რეჟიმის, და უარჩობა გაუწიეს მხოლოდ ახლა თაობას.

და ეს შემთხვევითი არ არის. რეაქციით აღსრდილთ არ შეუძლიათ მის სინათლეს შეეგუონ, ბნელს მიჩვეული თვალები სხვების კიანთზე იხუჭებიან. და ეს მოსამსახურენიც ახლა იჩენენ „ვაქციაობას“ გაფიცვით დემოკრატიის წინააღმდეგ.

პირველა და მეორე გაფიცვასაც საბუთად ეძმე ეკონომიური მდგომარეობა უძევს, მარა მათი სარჩული სულ სხვაა. იგი პოლიტიკურ სფეროში მოიპოვება.

დემოკრატიული წყობილება იმით არის განსხვავებული, სხვათა შორის, ძველი რეჟიმისაგან, რომ აქ მუშებს ამისი საშუალება აქვთ თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გარეშე გაფიცვისა. აქ მათ შეუძლიათ მიმართოთ შრომის სამინისტროს, არბიტრაჟს, მომრიგებელ კომერას, რომელთა დადგენილება სავალდებულო ხასიათს ღებულობ.

ყველა ამას მუშები, ნამდვილი მუშები, მუშათა საერთო ინტერესების შეგნებით აღჭურვილნი, არასოდეს არ გაუბიან. პირიქ ით, იგინი ასეთ საშუალებათა მოსაპოვებლათ იბრძვიან, იბრძოდენ წინდაც. და დღეს მოგვაქვარი უფლებებით ფართოდ სარგებლობენ.

მხოლოდ ხუთდღოვების და არა მეტი ხანი აპეკუნების უმ-გავსო აგიტაციის ნაყოფად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ მოსამსახურენი კონფლიქტს ასე ამწვავებენ დემოკრატიის სახელის გასატეხად.

ამით იგინი ერთხელ ამოჩენენულ, ერთხელ აკვიატებულ იდეას ემსახურებიან, რომელიც რეაქციულ იმპერიალიზმის სამსახურში გამოიხატება.

ჩვენ სასტიკად ვემრთ ასეთ გამოსვლას მოსამსახურეებისას. განსაკუთრებით ჩვენი გულისწყრომა მიმართულია იმ მოსამსახურეებისადმი, რომელნიც საავადმყოფოებსა და ბარაკებში სტოვებენ ავადმყოფებს უმწეო მდგომარეობაში. მათი საქციელი პირდაპირი მკვლელობის ჩადენას უდრის. ამათი საქციელი სრული დაიწყებაა თავის მოვალეობის და უსაზღვრესათ მოხმარა იმ მძიმე და პასუხსაგებო მოვალეობის, რომელსაც ავადმყოფთა სახსახური ეწოდება.

ჩვენ ვამბობთ: ასეთ პირებს ადგილი არ უნდა ექნეს თვითმართველობის და საერთო საზოგადოებრივ სამსახურში. მათი სახელები უნდა შავი ასოებით ამოიბეჭდოს თფილისის საზოგადოებრივ ცხოვრების ფურცლებზე, როგორც ადამიანების, რომელთაც ადამიანობის ელემენტარული წესი დავიწყებათ. თვითმართველობა და დემოკრატია, რომელმაც ის აირჩია, იმედია, გამოსძებნიან საშუალებას ამ კრიზისიდან თავის დაღწევისა და შემდეგში მიიღებენ ზომას, რომ ქალაქის თანამშრომელნი, უფრო მეტად იყვნენ გამსჭვალული თავის მოვალეობის შეგნებით.

კოლეგია თუ ერთი პირი

სამაზრო ერობები უკვე შეუდგენ წვრილი ერთეულების შემოღება მართლაც რომ საშფრია. ომის და რევოლიუციის გაყვლეფით ცხოვრება შეჩვეული კაცი პოტიდან ამოვარდა და ბგორებულ ტალღებში ქანაობს. ძნელია ასეთ პირობებში ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ამიტომ წვრილი ერთეულების შემოღებითაც, რასაკვრველია, სოფლის ბანეული ცხოვრება სათანადოთ ვერ მოეწყობა. მარა ცდა ამ მხრით მაინც საჭიროა, კრიზისის განლება მაინც შესაძლებელია და უკომპასოდ ხეტიალს ასე თუ ისე მაინც მიჯნა დაედება. ამიტომ ერობების სიჩქარე ერთეულების შემოღებაში მიზან შეწონილი და დროს შესაფერია. მარა რამდენად რთულია მდგომარეობა, რამდენად დახლართულია ცხოვრების კანონები, რამდენად ჩვენი სურვილის გარეშე მდგომარეობენ ბევრი საქმეს აფერხებენ, გავლენას ახდენენ ყოველგვარ ორგანიზაციულ წყობაზე და მის ნორმალურ ფარგლებში ჩაყენებას ხელს უშლიან, იმდენად მეტი სიფრთხილე მართებს ჩვენი სოფლის მესვეურებს.

აქ ყოველივე ასეული უნდა იყოს გაზომილი და ერთხელ გადაკრეული; გათვალისწინებული ყოველივე წვრილმანი, გაგებული მასის დღევანდელი ფსიხოლოგია, შესაძლებლობა ამა თუ იმ ზომის გატარებისა და სხ. და სხ.

ყველა ამაებს სამწუხაროდ ზოგი ერობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს და ჩვენ გვეშინია, ერობებმა არ დაკარგონ ხალხის ნდობა და არ გაიორდეს რუსეთის ზოგიერთ ერობების, печальной памяти შემთხვევები.

ამაშია საზოგადოებაში მომხდარა წვრილი ერთეულის პირველი ყრილობა. დასწრებია ამაზრო ერობის გამგეობის წევრიც. ყრილობას აურჩევია გამგეობა სამი პირისაგან. თავმჯდომარე და ორი მისი ამხანაგი თავმჯდომარისათვის დაუნიშნავს თვეში 900 მ., ამხანაგებისათვის თითოს 700 მ. („ერთობა“ № 64).

კითხვა—კოლეგია თუ ერთი პირი, საქმეთ გაუშეებულია ერობის ლიტერატურაში და უმრავლესობა არჩევს ერთ პირს, ვინემ კოლეგიას. ჩვენც გვგონია, რომ ერთი პირი, როგორც ადმინისტრატორი—სრულიად საკმარისია. განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში, როცა საჭიროა მეტ ს მეტი სისწრაფე და სიმარტივე ყოველ დღიურ უსაოებაში. ესეც რომ არ იყოს, ასეთ დიდ ხარჯებს სოფელი ვერ გაიღებს და ამ ნიადაგზე მოსალოდნელია ბევრი უსიამოვნება. ამაშის საზოგადობას მარტო გამგეობის შენახვა დაუჯდება წელიწადში 27.600 მან. ამას დაემატება საქმის წარმოებელის, დარაჯის და საკანცელიარიო ხარჯები, გადასახადები სხვადასხვა სამეურნეო და კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ და ეს ისეთი დიდი ჯამი გამოვა, რომ დაბოლოს გადახდა გაჭირდება და ერობა დაზღვეული არ იქნება ბევრი უსიამოვნო შემთხვევისაგან.

იგივე კორესპონდენტი იუწყება, რომ ხარჯების ნაწილის დაფარვას ერთეული ფიქრობს იმ საფუთო გადასახადებისაგან, რომელიც დაედება ამაშიდან გატანილ საქონელს. საფუთო გადასახადს შემოდება საერთოთ მიუღებელი და შეუწყნარებელია. ყველა ქალაქი, ყველა სოფელმა, რომ საფუთო გადასახადი შემოიღოს—ეს იქნება „სპარსული“ ფინანსიური პოლიტიკა, რომელიც სრულიად მიუღებელია დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ესეც რომ არ იყოს, საქონლის გატანა შემოტანა ისეთ მერყევ და ცვალებად პირობებშია დღეს, რომ მაზე ანგარიშის აგება—ეს ფანტიკ პრობლემატიკურია და უმეტეს შემთხვევაში ს ულიათ უიმედო. წვრილი ერთეულის ბიუჯეტი უფრო რაციონალურ და მკვიდრ საფუძველზე უნდა იყოს აგებული. და რადგან ასეთი მკვიდრი საფუძვლის გამონახვა დღეს შეუძლებელია, ჩვენი სურვილებაც უფრო მცირე უნდა იყოს. ამიტომაც ერთეულებისათვის ჯამაგირიანი კოლეგიის არჩევა არც დროს და არც პირობებს არ შეეფერება და სასურველია ჩვენმა ერობებმა ამას სათანადო ყურადღება მიაქციონ და სიფრთხილით მოეპყრან.

საქართველო და მისი გედი

VIII

მთავრობის დეკლარაციის გამო.

21 მარტის დამფუძნებელ კრების სხდომაზე ახლად შემდგარი მთავრობის მიერ წაკითხულ დეკლარაციაში იქცევს ყურადღებას ერთი საგულისხმო დებულება—დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის შ ესახებ.

„საქართველოს საკარეო, აგრეთვე საშინაო მდგომარეობას,—ვკითხულობთ იქ,—მეტის მეტად ართულებს მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ჩვენს თვალწინ ახალ ახალ ქვეყნებს მოედვა და რომელიც თანდათან ვითარდება და ღრმავდება.

„მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიის შემოქმედება და უნარი სძლევს ამ დაბრკოლებათ და ევროპაში მოსალოდნელ ცვლილებას ჩვენში მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად გამოიყენებსო“.

როგორც ვხედავთ ჩვენი სოციალისტური მთავრობა უშვებს სერიოზულ და სათანადო ანგარიშს იმ სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმნას, რომელსაც ნამდვილად განაცდის დღეს მთელი ევროპა, მიუხედავად იმისა, მოიღებს ეს გარდაქმნა დამახასიათებელ ბოლშევიკურ სახეს, თუ როგორც რუ ეთს, თუ სპარტაკულს, თუ როგორც გერმანიაში.

ცხადია ერთი. სოციალური ქარტეხილი ამაზვრევს ბურჟუაზიულ კერპებს, არღვევს მათ მყუდროებას და გარდაქმნის პროლეტარ-დემოკრატიის მთელ ფსიხეას.

სოციალური რევოლუციის პირველი ტალღები ბობრეობენ და გადადიან ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

ამ დიად ისტორიული ხანის, ამ საშინელი სამოქალაქო ომის წინაშე მეთოლდება თვით მსოფლიო ომი. მთელ კაცობრიობას აქვთ მიუპყრია თავის ყურადღება. დიდი თუ პატარა ერა გულს ფანცალით თვალს ადევნებს ამ გიგანტურ კოლოსთა ბრძოლას და ცდილობს თავის ცხოვრების სინამდვილის მიხედვით შეეგუოს ახალ საერთაშორისო ბრძოლებს, ცვლილებას, ახალ ხანას.

მხოლოდ ამ საშინელ ქარტეხილში ყოველ ერს სჭირია დიდი სიფხიზლე, ფაწონ დაწონვა და გამოწყობა თავის ძალების, რადგან წინაადმდეგ შემთხვევაში, ადვილად ჩაეფლავს სამუდამოთ საკუთარ არსებობას, თავისუფლებას. ეი სწორეთ ამ საერთაშორისო ცვლილებას ითვალისწინებს ჩვენი სოციალისტური მთავრობა და საჭირო სიფრთხილით და თავდაჭერილობით გამოსთქვამს თავის შეხედულებას და მის მიხედვით ისახავს მოქმედების ხაზს.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ ამბობს იგი თავის დეკლარაციაში, რომ საქართველოს დემოკრატიის შემოქმედება და უნარი სძლევს ამ დაბრკოლებათ და ევროპაში მოსალოდნელ ცვლილებას ჩვენში მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად გამოიყენებსო“ (ეურსივი ჩვენია).

სწორეთ ასეთი სიფრთხილე მოეთხოვება ყოველ მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია ამგვარ განსაცდელ მომენტებში.

რა თქმა უნდა, სიფრთხილე მარტო მთავრობის პასუხისმგებლობით არ ამ ხნება, ასეთი სიფრთხილე პოულობს თავის გამართლებას თვით იმ ობიექტიურ პირობებში, იმ სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელში იმყოფება დღეს საქართველო და მთელი ამიერ კავკასიაც.

ეი სწორეთ ამ ობიექტიურ პირობებიდან, თავის ქვეყნის სინამდვილედან უნდა გამოდიოდეს მეცნიერულად მოაზროვნე ყოველი მარქსისტი და მხოლოდ ამის მიხედვით შეუფარდოს თავის მოქმედება საქართველოში თუ ამიერ კავკასიაში, როდესაც მას უნდა გაუწიოს ანგარიში იმ ღრმა სოციალურ ცვლილებას და გარდაქმნას, რომელსაც განიცდის დღეს კაპიტალისტურად დაწინაურებული და მომწიფებული სახელმწიფონი. ჩვენი წინა წერილებში არა ერთხელ მიგვიქცევია მკითხველის ყურადღება და ახლაც ხაზ გასმით ვიმეორებთ, რომ საქართველო თავის ეკონომიური ტრიტურით წაგავს შეიეცარიას. იგი წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა მიწათ მოკმედების, და ამასთანავე წვრილ მეკუთვნეთა ქვეყანას, სადაც არ არის განვითარებული არც სამრეწველო, არც სამეურნეო მსხვილი კაპიტალი, მსხვილი წარმოება, მუშაობს განსაკუთრებით საგარეო კაპიტალი. იგივე ითქმის ამიერ კავკასიაზედაც, მარტო მცირე გამონაკლისით. ამგვარად ობიექტიური პირობები ჩვენში გვიმტკიცებს იმას, რომ მთელი ამიერ კავკასია საქართველოსთან ერთათ არა დგას დღეს იმ სოციალისტური გადატრიალების წინაშე, რომელიც დაწინაურებულ სახელმწიფოებ ევროპაში, რომელსაც უმეტესი წერტილამდე მისული სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალი, და სანინელი ეკონომიური კრიზისი, შექმნილი თანამედროვე ომთა, მიიყვანეს საშინელ კატასტროფებისაკენ და შეხაძლებელია ხოცალისტური გადატრიალებანი კვნაც.

სწორეთ ეს მოსალოდნელი სოციალ-ეკონომიური ღრმა ცვლილება ევროპაში ზოგიერთ სოციალისტებს მესხიშვილი—ლენინტების ტიპისა თავბრუს გვრის და აყენებს მაქსიმალისტურ გზაზე.

ეგენი გატაცებულნი არიან უბრალო სურვილით და ანგარიშ მიუცემელ წყურვილით სოციალისტური ურთიერთობის საქართველოში დამყარებისათვის. ამ ფსიხოლოგიის პატრონნი სრულებით არ უშვებენ ანგარიშს საქართველოს სინამდვილეს, არც მის ეკონომიურ პირობებს, არც საწარმოო ძალთა განწყობილებას.

ამათ ვერ შეუგნიათ ის პირდაპირ ტრადიციული მდგომარეობა, რომელსაც განიცდის საქართველოს დემოკრატია, ესაა ამ დემოკრატიის პოლიტიკური მომწიფება და ბატონობა ერთის მხრივ და ცხოვრების ეკონომიური განუვითარებლობა და ჩამორჩენილობა შედარებით ევროპასთან მეორეს მხრივ. როდესაც სუბიექტი ასე უსწრობს ობიექტს ცხოვრებაში, რევოლიუციაში და მიეცემა მარტო თავის სუბიექტიური მისწრაფებას, მაშინ ადვილად მოსალოდნელია შემცდარი ნაბიჯი, ნაბიჯი, რომელიც არ შეესაბამება ობიექტიურ პირობებს და კიდევაც უკარნახებს ერს დიდ უბედურობას და დადუპავს მთელ დემოკრატიას.

ასე დაემართათ უდიდეს სუბიექტივისტებს ლენინს და ტროცკის.

ჩვენშიაც სწორეთ ის გარემოება, რომ ლეს საქართველოს ბედს სჭედავს მისი დემოკრატია, რომელიც ჩაუდგა მართვა-გამგეობას სათავეში, ბურჟუაზია კი სუსტია, რადგან სუსტია საქართველოს ეკონომიური განვითარება, ზოგიერთ მუშებს და სოციალისტებსაც სამწუხაროთ უბადებს ილიუზიებს, თითქო საქართველოში უკვე შესაძლებელი იყოს გადმოტანა ევროპიდან (წარმოიდგინეთ რუსეთიდანაც) სოციალურ ექსპერიმენტებისა იმ სახით და იმ ფორმით, როგორც ეს ხდება იქ.

ასეთ მავნე ილიუზიებს, ბალშევიკურ ექსპერიმენტებს უნდა ერიდნენ ჩვენი მუშ ბი, ჩვენი დემოკრატია.

რა თქმა უნდა, გაბატონებული დემოკრატიისთვის, რომელსაც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 130 დეპუტატიდან ყავს 109 წარმომადგენელი, ადვილია ერთ მშვენიერ დღეს კანონის სახით, გამოაცხადოს სოციალისტური წესწყობილება. რა დაუშლის მას, რომელი ფიზიკური ძალა გადაეღობება წინ, როდესაც ეს ფიზიკური ძალა თვით მის ხელშია? შეუძლიან ეს, მაგრამ რა მოჰყვება ამას? ან მიღებული კანონი ჰაერში ჩამოეკიდება, თუ ძალათ არ იქნება ცხოვრებაში გაყვანილი, ან და თუ ძალით გატარდა, მას მოჰყვება ნგრევა იმ სუსტი საწარმოო ძალებისაც, რაზედ დაყრდნობილია ჩვენი დემოკრატია და რომლის განვითარება ეკიდა გზას მშრომელ ხალხს ბრძოლა-ნვალე მომავლისაკენ.

ასე დაემართა დემოკრატიულ რუსეთს, რომელიც შეუგნებლად გაჰყვა ლენინს და ტროცკის.

ისტორია ვერ ურიგდება ასეთ ნახტომებს, იგი ემორჩილება კანონებს, რომელნიც გამომდინარეობენ ცხოვრების რეალურ ძალთა განვითარებიდან.

მუშებს უნდა ახსოვდეთ, რომ უტყუარი გზა სოციალიზმისაკენ ეს დემოკრატიზმია. ამ დემოკრატიზმმა უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი საქართველოში. უდროოთ სოციალისტური ექსპერიმენტები კი მარტო შეასუსტებს, დაანგრევს ამ გზას და გადაეფეთქებს რეაქციას, მაშინ, როდესაც გამარჯვებულ წინმსვლელობით დემოკრატიზმი გაუდგებოდა საქართველოს მუშებს და დემოკრატიას, თუ საკუთარი საწარმოო ძალთა განვითარებით ვერ მიაღწევენ, მაგრამ ამ ჩვენი ნაბიჯით გვსურს სხვა დარგის „გამაძღარ“ მუშებს ვაგრძნობინოთ შიმშილის ძალიერებაო.

მეორე, გაფიცვის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარე იმდენათ მიეცა გატაცებას, რომ სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი: ჩვენ ხელთ არის ერთი უძლიერესი კოზირი—ეს არის შავ-სახადი, ამ სენმა დაარღვია მეთერთმეტე არმია და ჩვენც იგივე გავგამარჯვებებს, ამიტომ დავიჭერეთ გაფიცვა, თორემ ბოფხულანდე ეს სენი შემცირდება და მერე გვიანდა იქნება. ერთი სიტყვით ეს გაფიცვა კი არ ყოფილა, არამედ სახადზე სეიკულიაცია.

გაფიცვის უნ�ობათ გადაქცევა ამაძალები ჩვენს სოციალისტურ მთავრობის გარეშემი ამოუდგენენ მას გვერდში და გაუადვილონ ის მძიმე ფელი, რომელიც დასაკისრა მას საქართველოს ისტორიამ.

კ. კახელი.

თვითმართვ. მოსამსახურეთა გაფიცვის გამო

თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის საერთო კრებამ, კვირას 23 მარტს, დაადასტურა დელეგატთა კრების გადაწყვეტილება და გამოაცხადა გაფიცვა 24 მარტის 6 საათიდან. გაფიცვას მხარი არ დუჭერია სასაკლაოს, ტრამვაიმ, წყალსადენმა, მასწავლებელთა ნაწილმა.

ამგვარათ მოსამსახურეთა ნაწილმა ჩაიდინა იშვიათი საქმე: მან წინააღმდეგ შეკავშირებული პროლეტარიატის—პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადაწერით დადგენილებისა გაიფიცა დემოკრატიულ თვითმართველობას, ზურგი უქვინა ტრაგიულ მდგომარეობაში მყოფ ხალხის წარმომადგენლობას, უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა გადამდგარ სენით ავადმყოფნი და მათ დაუკეტა საავადმყოფოს კარები...

იშვიათი გა იცვა.

ამ გაფიცვის გამოცხადებამ ნათლათ დაამტკიცა, თუ რანაირათ იცვლება, რაგვარ ელფერს იღებს ერთი და იგივე მცნება, ერთი და იგივე მოვლენა, ერთი და იგივე ბრძოლის იარაღი სხვადასხვა პირობებში, იმის და მიხედვით, თუ ვის წინააღმდეგ არის ის მიმართული.

გაფიცვა, ეს უძლიერესი იარაღი შრომისა კაპიტალის წინააღმდეგ, რომელსაც ამ შემთხვევაში იდეალური ხასიათი აქვს და რომელიც წმინდა ბრძოლის შარავანდედით არის შემოსილი, ერთგვარ პოლიტიკურ უნნეობათ იქცევა, როდესაც ის დემოკრატიულ კოლექტივს ემუქრება.

ყველაფერი ეს დაამტკიცა მოსამსახურეთა კრებამ 23 მარტს. ჩვენ ამ კრებამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რა ცუდი მრჩეველია შიმშილი, თუ როგორ უბრძს ის ზოგიერთებს სად აზროვნებას, სად პოლიტიკური შეხედულებას, თუ როგორ უკარგავს ის უნარს ახლობელ პერსპექტივის გამოცნობისას.

კრებაზე ვერ იქონია გავლენა ვერავითარმა საბუთმა ამ გაფიცვის ყოველთ მიზანშეუწონლობისა. ვერც ქალაქის თავის მოადგილის გულწრფელმა განცხადებამ, ვერც კავშირთა სეკრეტარიატის გონივრულმა რეზოლუციამ, ვერც კერძო ორატორ-მოსამსახურეების დარიგებამ. კრებას სურვილიც არ ჰქონდა მათი მოსმენისა.

ჩვენ თავადაურს ვადევნებდით ამ კრების მსვლელობას და უნებურათ გვაგონდებოდა ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც შიმშილის ზეგავლენით, გატაცებული ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, კაპიტალურ პოლიტიკით როგორ ეშვებოდა ბალშევიზმის ხრამში და ბაქოს დემოკრატიულ წესწყობილებას ძირს უთხრიდა.

23 მარტის კრებაზე ვერც ერთმა გაფიცვის მომხრემ ვერ დაამტკიცა გაფიცვის მიზანშეწონილება, მისი ამ შემთხვევაში სარგებლიანობა.

სამაგიეროთ ჩვენ აქ გავეცანით გაფიცვის ხელმძღვანელთა სულსკვეთებას, აქ გამოირკვა, თუ რა ხალხთან გვაქვს ჩვენ საქმე ამ შემთხვევაში.

ერთმა გაფიცვის ხელმძღვანელთაგანმა განაცხადა, რომ თუმცა გაფიცულები ვერაფერს დადებითს შედეგს ვერ მიაღწევენ, მაგრამ ამ ჩვენი ნაბიჯით გვსურს სხვა დარგის „გამაძღარ“ მუშებს ვაგრძნობინოთ შიმშილის ძალიერებაო.

მეორე, გაფიცვის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარე იმდენათ მიეცა გატაცებას, რომ სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი: ჩვენ ხელთ არის ერთი უძლიერესი კოზირი—ეს არის შავ-სახადი, ამ სენმა დაარღვია მეთერთმეტე არმია და ჩვენც იგივე გავგამარჯვებებს, ამიტომ დავიჭერეთ გაფიცვა, თორემ ბოფხულანდე ეს სენი შემცირდება და მერე გვიანდა იქნება. ერთი სიტყვით ეს გაფიცვა კი არ ყოფილა, არამედ სახადზე სეიკულიაცია.

გაფიცვის უნებობათ გადაქცევა ამა-

ᲓᲦᲔᲡ

18 მარტს გაიხსნა აფხაზეთის სახალხო საბჭო. საბჭოს მიხალმების დეპეშით მიმართა ჩვენს მთავრობას საბჭო მოითხოვს აფხაზეთის საზღვრებიდან მოხალისეთა ჯარის გაყვანას.

უნგრეთში საბჭოთა მთავრობამ ჩაიგდო ხელი ძალა უფლება.

გერმანიაში ნახშირის ნაკლებობაა. ამის გამო იხურება ქარხნები და უმუშავართა რიცხვი მატულობს. სპარტაკელების და დამოუკიდებელთა გავლენა ძლიერდება.

ზე შორს ვერ წავა. ჩვენმა დემოკრატიამ კარგათ უნდა დაიმახსოვროს, გისთან გვქონია საქმე ამ შემთხვევაში და მათ შესაფერი პასუხი გასცეს.

ალ. ᲧᲐ—ნი.

ᲓᲐᲛᲨ. ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

III

მთავრობის დეკლარაციის შესახებ დიდ იერიშებს ველოდით. ალბათ უფრო დიდი წარმოდგენის ვიყავი ოპოზიციაზე, ვინემ ის ნამდვილათ აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ყოფილ პარლამენტში ასეთი „დიდი დღეები“ ბევრათ უფრო ცხოველი და უფრო საინტერესო იყო. ეს, რასაკვირველია, არ აიხსნება ოპოზიციის სიმცირით. სახელმწიფო დუმაში ოპოზიცია მეტად მცირე იყო, მარა მისი უბრალო გამოსვლაც კი ცეცხლს ანთებდა თავ თავის სიძლიერით, თუ შიგ არა, გარეთ მაინც დიდ გამოძახილს იწვევდა. ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო ის, რომ დუმის ოპოზიცია მცირე იყო შიგნით, მარა უმრავლესობა გარეთ და ისიც თავის გამოსვლებით სწორეთ ამ მასას ელაპარაკებოდა. ამ მხრით ჩვენი ოპოზიციის ბედი ტრაგიკულია. შიგნით მცირეა, გარეთ არავინ უსმენს—ეს აცივებს და ანაღვლებს ოპოზიციას და ამიტომაც ის ასე უფერული და მკრთალი იყო. ასეთივე იქნება ალბათ შემდეგშიაც.

პარლამენტის დროს ოპოზიცია ფიქრობდა, რომ მას უსმენენ; ის ელოდა არჩევნების დროს ამ ოპოზიციის შედეგს და აი, როცა გამოირკვა, რომ მას თურმე არავინ იზიარებდა, არავის არ იმხრობდა—ოპოზიციაც განელდა, დაიფერფლა და ოდნავ ბეუტავს. ამით აიხსნება ამ დღის ოპოზიციის სისუსტე და არა, რასაკვირველია, მისი პირადი შემადგენლობით, რადგან ოპოზიციაში ალბისაც ის ლიდერები, რომლებიც იყვნენ პარლამენტში. აი თუ გინდ ს. კედია. ის კარგი ორატორია, დიდი პათოსის კაცი, თავი ტრიბუნაზე თავისუფლათ უჭირავს. პარლამენტში მისი გამოსვლები ზცირე კითხვის შესახებაც კი უფრო ძლიერი ყოფილა, ვინემ ამ დიდი ბრძოლის დღეს. ყო.

არსებითად ოპოზიციამ ორი მხრიდან მოიტანა იერიში. ნაციონალ-დემოკრატებს დეკლარაცია სოციალისტურათ მიაჩნიათ და ამიტომ, მისი წინააღმდეგია. სოციალ-ფედერალისტებს ლა ესერებს—ბურჟუაზიულათ, ამიტომ მას არ იღებენ.

ბ. კედია დიდხანს ამტკიცებდა, რომ მთავრობის პოლიტიკის წყალობით მოხდა საქართველოს იზოლიაცია და ეს კი საფრთხეში აგდებს ქვეყანასო. აქ ბ. კედია სრულიად მართალი იყო. საქართველოს იზოლიაცია მართლაც ფაქტია. მაგრამ ეს არის იზოლიაცია დემოკრატიული და რევოლიუციონური. ყველა მეზობელი რესპუბლიკები ფეოდალურ-ოლიგარხიულია; იქ რევოლიუციის და მისი მონაპოვარის ლიკვიდაციაა ჭაკვე მოხდა. ჩვენში ყოველივე ეს დაცულია და სანამ ასე, უფრეველია, იზოლიაციასაც ამ აზრით ადგილი ექნება და ვინაც სურს ის ასე არ იყოს, მან ან ჩვენში უნდა შექნას ანერბიიჯანის წყობილება, ან იქ დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა. რომელს აირჩევენ ამ ორში ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები, ადვილი გასაგებია.

სოც.-ფედერალისტების და ესერების ორატორები უკიდურესი სოციალისტები გამოდგნენ და ამის დასამტკიცებლათ შესაფერი დიმოლებანიც წამოაყენეს. ესაა აფთიაქების და ელეკტრონის განსაზოგადოებრივება და მიწის სოციალიზაცია. ამაშია თურმე ნამდვილი სოციალისტობა და ათასჯერ მართალი იყო სოც.-დემ. ფრაქციის ორატორი. არსენიძე, რომელიც „მემარცხენეების“ სოციალისტობა უბრალო მუნიციპალურ საქმიანობათ გამოაცხადა და მათი მეშჩანური სულისკვეთება ნათელყო თავის ძლიერ და შინაარსიან სიტყვაში. მის სიტყვას, მიმართულს მარჯვნივ და მარცხივ, მოწინააღმდეგენიც ყურადღებით ისმენდნენ და, ვფიქრობ, გულში კიდეც ეთანხმებოდნენ.

ოპოზიციის ფრაქციებმა სიტყვის ბოლოს წაიკითხეს თავიანთი დეკლარაცია, რომელშიაც ბევრი ისეთი რამ იყო, რომელზედაც საჭიროა მკითხველის ყურადღების შეჩერება, მარა ამაზე შემდეგ.

განი.

ᲓᲐᲛᲨ. ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

III

მთავრობის დეკლარაციის შესახებ დიდ იერიშებს ველოდით. ალბათ უფრო დიდი წარმოდგენის ვიყავი ოპოზიციაზე, ვინემ ის ნამდვილათ აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ყოფილ პარლამენტში ასეთი „დიდი დღეები“ ბევრათ უფრო ცხოველი და უფრო საინტერესო იყო. ეს, რასაკვირველია, არ აიხსნება ოპოზიციის სიმცირით. სახელმწიფო დუმაში ოპოზიცია მეტად მცირე იყო, მარა მისი უბრალო გამოსვლაც კი ცეცხლს ანთებდა თავ თავის სიძლიერით, თუ შიგ არა, გარეთ მაინც დიდ გამოძახილს იწვევდა. ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო ის, რომ დუმის ოპოზიცია მცირე იყო შიგნით, მარა უმრავლესობა გარეთ და ისიც თავის გამოსვლებით სწორეთ ამ მასას ელაპარაკებოდა. ამ მხრით ჩვენი ოპოზიციის ბედი ტრაგიკულია. შიგნით მცირეა, გარეთ არავინ უსმენს—ეს აცივებს და ანაღვლებს ოპოზიციას და ამიტომაც ის ასე უფერული და მკრთალი იყო. ასეთივე იქნება ალბათ შემდეგშიაც.

პარლამენტის დროს ოპოზიცია ფიქრობდა, რომ მას უსმენენ; ის ელოდა არჩევნების დროს ამ ოპოზიციის შედეგს და აი, როცა გამოირკვა, რომ მას თურმე არავინ იზიარებდა, არავის არ იმხრობდა—ოპოზიციაც განელდა, დაიფერფლა და ოდნავ ბეუტავს. ამით აიხსნება ამ დღის ოპოზიციის სისუსტე და არა, რასაკვირველია, მისი პირადი შემადგენლობით, რადგან ოპოზიციაში ალბისაც ის ლიდერები, რომლებიც იყვნენ პარლამენტში. აი თუ გინდ ს. კედია. ის კარგი ორატორია, დიდი პათოსის კაცი, თავი ტრიბუნაზე თავისუფლათ უჭირავს. პარლამენტში მისი გამოსვლები ზცირე კითხვის შესახებაც კი უფრო ძლიერი ყოფილა, ვინემ ამ დიდი ბრძოლის დღეს. ყო.

არსებითად ოპოზიციამ ორი მხრიდან მოიტანა იერიში. ნაციონალ-დემოკრატებს დეკლარაცია სოციალისტურათ მიაჩნიათ და ამიტომ, მისი წინააღმდეგია. სოციალ-ფედერალისტებს ლა ესერებს—ბურჟუაზიულათ, ამიტომ მას არ იღებენ.

ბ. კედია დიდხანს ამტკიცებდა, რომ მთავრობის პოლიტიკის წყალობით მოხდა საქართველოს იზოლიაცია და ეს კი საფრთხეში აგდებს ქვეყანასო. აქ ბ. კედია სრულიად მართალი იყო. საქართველოს იზოლიაცია მართლაც ფაქტია. მაგრამ ეს არის იზოლიაცია დემოკრატიული და რევოლიუციონური. ყველა მეზობელი რესპუბლიკები ფეოდალურ-ოლიგარხიულია; იქ რევოლიუციის და მისი მონაპოვარის ლიკვიდაციაა ჭაკვე მოხდა. ჩვენში ყოველივე ეს დაცულია და სანამ ასე, უფრეველია, იზოლიაციასაც ამ აზრით ადგილი ექნება და ვინაც სურს ის ასე არ იყოს, მან ან ჩვენში უნდა შექნას ანერბიიჯანის წყობილება, ან იქ დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა. რომელს აირჩევენ ამ ორში ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები, ადვილი გასაგებია.

სოც.-ფედერალისტების და ესერების ორატორები უკიდურესი სოციალისტები გამოდგნენ და ამის დასამტკიცებლათ შესაფერი დიმოლებანიც წამოაყენეს. ესაა აფთიაქების და ელეკტრონის განსაზოგადოებრივება და მიწის სოციალიზაცია. ამაშია თურმე ნამდვილი სოციალისტობა და ათასჯერ მართალი იყო სოც.-დემ. ფრაქციის ორატორი. არსენიძე, რომელიც „მემარცხენეების“ სოციალისტობა უბრალო მუნიციპალურ საქმიანობათ გამოაცხადა და მათი მეშჩანური სულისკვეთება ნათელყო თავის ძლიერ და შინაარსიან სიტყვაში. მის სიტყვას, მიმართულს მარჯვნივ და მარცხივ, მოწინააღმდეგენიც ყურადღებით ისმენდნენ და, ვფიქრობ, გულში კიდეც ეთანხმებოდნენ.

ოპოზიციის ფრაქციებმა სიტყვის ბოლოს წაიკითხეს თავიანთი დეკლარაცია, რომელშიაც ბევრი ისეთი რამ იყო, რომელზედაც საჭიროა მკითხველის ყურადღების შეჩერება, მარა ამაზე შემდეგ.

განი.

ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑ[*]

22 მარტის ხხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. დღის წესრიგში ორი საკითხია: მსჯელობა მთავრობის დეკლარაციის შესახებ და სამანდატო კომისიის მოხსენება.

შ. მესხიშვილი. (ს. ფ) ჩვენც იმ მიზანს ვისახავთ, რასაც სოც. დემოკრატია, მხოლოდ არ ვეთანხმებით იმ გზას, რომელიც აღნიშნული იყო მთავრობის დეკლარაციაში. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ევროპაში ბდება კაპიტალის და შრომის გადამწყვეტელი ჭიდილი და აქაც საფუძველი ჩაეყაროთ მომავალ სოციალისტურ წყობილებას. ამიტომ ეხლავე უნდა მოვახდინოთ აფთიაქის და ელეკტრონის კოლექტივიზაცია, კრედიტის ცენტრალიზაცია, კერძო ბანკები უნდა მოისპოს და სახელმწიფო ბანკები შეიქმნეს, მთელი მეურნეობა უნდა განვასაზოგადოვოთ კოოპერატივების საშუალებით, გაუქმებულ იქნას მიწის კანონი და მიწათმფლობელობა სოციალიზაციის ნიადაგზე. მმართველი პარტია აპირებს საქართველოში დაამყაროს მარტოოდენ დემოკრატიული სახელმწიფო და ერიდება მისცეს მას სოციალისტური სახეათი. ჩვენ კი მოვითხოვთ სოციალურ გარდაქმნას.

ხმ. კედია (ნაც.-დემ.) ეხება მთავრობის წარსულ მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ ის იდგა კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და ამიტომ არ შეეძლო ეროვნული პოლიტიკა ეწარმოებინა. მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ თანხმობა და სოლიდარობა გამოიწვია საქართველოს შუა გულში, სადაც ეთნოგრაფიული და ეროვნული მთლიანობა არის, განაპირა ადგილებში კი ამ შემცდარმა პოლიტიკამ აშკარად იჩინა თავი და თქვენ ყველამ იცით, თუ რა ხდება დღეს იქ. მთავრობამ თავისი პოლიტიკით საქართველოს იზოლიაცია მოახდინა მეზობელ სახელმწიფოებისაგან თავისი რევოლიუციონური სოციალიზმით. რაც შეეხება მთავრობის საგარეო პოლიტიკას, აქაც სისუსტე ეტყობოდა. მთავრობის წინაშე ორი ცენტრია: მოსკოვი და პარიზი. დღესაც ვერ გამოურკვევია მთავრობას, თუ სით იხრება მისი ორიენტაცია. შინაური საქმეებიც არ არის რიგზე. ეკონომიური ცხოვრება ისეთი გზით მიდის, რომ კატასტროფა აუცილებელი ხდება. ერთი მიზეზი საერთაშორისო მდგომარეობაა, მაგრამ არის მეორე ადგილობრივი მიზეზიც. არავის არ აქვს გარანტია, რომ თავისი საკეთე აწარმოვოს და თვითონვე მოიხმაროს. კერძო საკუთრება არ არის სათანადოთ დაცული. ვაჭრობა-მრეწველობა ამიტომ არ მიდის წინ. თუ მთავრობამ ძველი გზით დაიწყო სიარული, მაშინ მას ხდომას ვერ გამოვუცხადებთ. ვუსურვებთ მას ძველი გზით სიარული უარყოფას და ახალი გზით სიარულ.

ლ. შენგელაია. (ს. რ.) პერმანენტული რევოლიუციონური შემოქმედება—კითხულობს ორატორი დეკლარაციაში წყობრი კოლექტივიზაცია შრომისა და საკუთრებაზე—აი როგორ ესმის ს. რევ. დამფ. კრების მნიშვნელობა. ორატორი კითხულობს დეკლარაციას, სადაც ნათქვამია, რომ ს. რევ. მოიოხოვენ კრების, სინდისის და სხ. თავისუფლებას და აგრეთვე მიწის სოციალიზაციას.

სოც. დემოკრატების სახელით სიტყვას ამბობს ნ. არსენიძე[*])

კრებამ მიიღო სოც. დემოკრატების მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუციაა: მოისმინა რა მოხსენება მთავრობის შედეგების შესახებ და მისი სამოქმედო პროგრამა, დამფუძნებელი კრება სავსებით იწონებს მას, ამტკიცებს მთავრობის შეადგენლობას და გადადის მორიგ საკითხებზე.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს გრ. ურატაძე.

მომხსენებელი აღნიშნავს არჩევნების ზოგიერთ დეფექტებს. მოპყავს ციფრები, თუ რაოდენობა ამომაჩენელმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და როგორ განაწილდა ხმები პარტიათა შორის. შემდეგ კითხულობს დამფუძნებელ კრებაში არჩეულ დეპუტატთა სიას.

იმართება მცირე კამათი. ლაპარაკობენ: ი. ბარათაშვილი (ს. ფ) და ა. ასათიანი (ნ. დ.) მოითხოვენ ზოგიერთ სოფლებში არჩევნების უკანონოთ ცნობას და ხელ-ახლათ არჩევნების მოხდენას. მოიხსენებენ ლის საპასუხო სიტყვის შემდეგ კრებამ სავსებით დაამტკიცა სამანდატო კომ. მოხსენება.

შემდეგი სხდომის მოწვევა პრეზიდიუმს მიენდო.

ალ. ხ.

[*]) სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, მარტის 22. (საკ. კორ.). საოლქო საბჭოს დადგენილება ამიერ კავკასიის ბონებზე კურსის დაარსების შესახებ ინგლისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა. საბჭომ გიდასწყვიტა გამოსცეს ფოსტის და სალერბო მარკები. საბჭო შეუდგა ამის შემდეგ დარჩენილ ქონების ლიკვიდაციას. გიხსნა საოლქო საგათმყოფო. შტატი მხოლოდ რუსებისაგან შესდგება. მოვიდა გემი „წმინდა ნიკოლოზი“, რომლითაც ჩამოვიდნენ სოჭაში წაყვანილი ქართველი ტყვეები. მათ შორის მთავრობის წარმომადგენელი ბოჭოლავა და პოლკოვნიკი წერეთელი.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 მარტი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

გერმანია უკანასკნელი კვირის განმავლობაში ადარ ლებულობს საკმაო ნახშირს, ამიტომ ყველა ქარხნები იძულებულია მუშაობა შესწყვიტონ. უმუშევართა რიცხვი თანდათან იზრდება. ეხლა იმავე დროს რიცხვი სპარტაკელების და დამოუკიდებელთა. ამით აიხსნება ის გარემობა, რომ კენიგსბერგში, სადაც მეუმრავლესი სოციალისტებმა მიიღეს იანვარში 60.000 ხმა (ეროვნული ყრილობა), დაეცა 20,000 მდე. (მუნიციპალური არჩევნები). ეს გარემობა არ აიხსნება მით, რომ ხალხი გულგრილათ იკიდება არჩევნებს. ამის პასუხისგებლობა აწევს მოკავშირეებს, რომელნიც აიძულებენ მშიერთ და უმუშევართ სპარტაკელების მხარეზე გადავიდნენ.

გერმანიის სახელმწიფო კაბინეტმა დაავალა მთავრობის ორგანოს დაამზადოს ბილი გაზების და წყლის ელეკტრონის სადგურის და ტრამვაის სოციალიზაციის შესახებ.

ᲑᲐᲚᲢᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲠᲘᲒᲐ, მარტის 23. ამხანაგო ლენინო, აქ იმყოფება კომუნისტური პარტიის ც. კ. წევრი ერნსტ პორი. უნგრეთის პროლეტარიატმა, რომელმაც გუშინ ლამე ხელთ იგდო მთელი სახელმწიფოს ძალა-უფლება, პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადა. მოგესალმებით თქვენ, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს. გადაეცით რეგოლიუციონური სალამი რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს. სოც.-დემ. პარტია კომუნისტურ თვალსაზრისს იზიარებს. ორივე პარტია შეერთდა და სანამ მოსკოვის კონგრესი მესამე ინტერნაციონალისა არ დაარქმევს ერთს სახელს ყველა პარტიებს, ჩვენ ვიწოდებით უნგრეთის სოციალისტურ პარტიათ. გთხოვთ მოგვცეთ დირექტივები... (გამოტოვებულია). სახალხო რწმუნებულთა საბჭოს სხდომა აქვს ამ წუთში. ამხანაგი ბელა-კუნი დანიშნულია გარეშე საქმეთა სახალხო რწმუნებულათ. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა წინადადებას აძლევს რუსეთის საბჭოთა მთავრობას შეკრან თავდაცვითი და შეტევითი კავშირი, იარაღით ხელში ჩვენ წავალთ პროლეტარიატის მტრის წინააღმდეგ. ბუდაპეშტი. მარ. 22 უნგრეთის რევოლიუციონური მთავრობის საბჭო მთელ სამრეწველოებს გადასცემს პროლეტარიატის სახელმწიფოს. ხვალ კვირას დიდი სახალხო კრებაა. დიდა ქალაქში სიწყნარეა. მოკავშირეთა კომისიები ბუდაპეშტს სტოვებენ. რუსეთის საბჭოთა მთავრობას სალამს უძღვნის უნგრეთის საბჭოთა მთავრობა.

ᲨᲠᲐᲜᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ხალხთა ლიგის კომისიის სხდომაზე პრეზიდენტმა ვილსონმა წინადადება წამოაყენა შუამავლობრივ განიხილონ ლიგის წესდება და მხედველობაში მიიღონ. წარმოდგენილი ყველა შენიშვნები მიუხედავათ იმისა, ნეიტრალური თუ მოწინააღმდეგის მხრით, თუ კერძო წყაროდან იქნება ის წარმოდგენილი. კამათის შემდეგ გამოქვეყნდება ახალი ტექსტი. ამერიკის დელეგატები სცდილობენ ისეთი შესწორებები შეიტანონ, რომელიც დაკმაყოფილებს ამერიკის საზოგადოებრივ აზრს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐᲜᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

12 მარტს თემთა პალატაში დაადგინეს, რომ 22 მარტს ცხენოსანთა და გვარდიის ბრიგადამ ტრიუმფალური მარშით გაიაროს ლონდონში.

მთავრობის ცხენოსანმა რაზმმა ბერლინში ხელთ იგდო სპარტაკელების ბუდე მიხაილოვის ეკლესიასთან. წამოიყვანეს 100 ტყვე. აქედან 80 იქვე დახვრიტეს. დარჩენილი სპარტაკელები დაიყენეს პატარა ჯგუფებათ და გამგზავრდნენ ბაღებში და სარდაფებში.

ბერლინიდან კოპენჰაგენში იუწყებიან, რომ ლიბკნეხტის ბრეზიდენტმა ბარონ სალომეტმა თავი გადაირჩინა მით, რომ სპარტაკელებს ჭრთამეთ მისცა დიდი თანხა. მან განაცხადა, რომ 150 მეტი კაცი მოკლეს ლიბკნეხტისგან და რომ სპარტაკელებმა შესძლეს საფოსტო კანტორაში შესვლა, სადაც ძლიერი გარნიზონი იმყოფებოდა. სამი საათის ბრძოლის შემდეგ გარნიზონს იარაღი ადარ თავთვის და ჯარისკაცები დაბეჭრიტეს, ფოსტის მოსამსახურეები კი ნირბელში გაუშვეს.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

აფხაზეთის სახალხო საბჭო 18 მარტს 12 საათზე ოლკიზის თეატრში გახსნა საბჭოს უხუცესმა წევრმა რამაზიშვილმა შემდეგი სიტყვით: „ძალიან მძიმე და რთულ დროში მოუხდა შეკრება ახალგაზრდა საბჭოს. აფხაზეთი ჯერ დიდ ხანია გახდა ადგილი ბრძოლისა რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის შორის და დემოკრატიზმის და მონარქიზმის შორის, რომელსაც მონობა მოაქვს ხალხისთვის. სახალხო საბჭოს ვალია, ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს დემოკრატიის გაუბედავობას, მერყეობას და საბოლოოთ გამოარკვიოს მთელი ოლქის პოლიტიკური კურსი. ხალხის წარმომადგენლებმა უნდა სთქვან სათ წავა აფხაზეთი, მონარქიზმისაკენ, თუ დემოკრატიზმისკენ. ამაზე დამოუკიდებულია საბჭოს მომავალი მუშაობა. გაუმარჯოს თავისუფალ აფხაზეთს. გაუმარჯოს აფხაზეთში და საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის ძმობას, ერთობას და სიყვარულს, გაუმარჯოს აფხაზეთის და საქართველოს დამცველ რესპუბლიკის ჯარს. კრებას დაეწყო თითქმის ყველა დეპუტატი. დიდი უმრავლესობით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. კ. ეშუბავი და პირველ მდივნათ კოროლიოვი. პარლამენტში 7 ფრაქციაა: სოც.-დემ. 27 დეპ. ესერების—8, სოც.-ფედ.—1, ნაც. დემ.—1. ახალშენთა ჯგუფის—1, დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციას (აფხაზეთის დამოუკიდებლ. მომხრენი),—4, უკანასკნელთაგან გამოყოფილ მემარჯვენე ჯგუფს—3. პირველი დღე უძღვნეს დეკლარაციის გამოქვეყნებას და მიღოცვების კითხვას დეკლარაციებში, სადაც ალიარეს აფხაზეთის ავტონომია და სახელმწიფოებრივი კავშირი დემოკრატიულ საქართველოსთან, დისონანსი შეაქვს დამოუკიდებელ სოციალისტების და უკიდურეს მემარჯვენეთა ჯგუფს, რომლებიც სხდომის დასასრულს გაიყვნენ. მათი დეკლარაცია სავსეა ბრალდებებით საქართველოს დემოკრატიის მიმართ, რომელიც ვითომ ცეცხლით და მახვილით, სიკვდილით დასჯით და ყოველგვარ ძალადატანებით რომელიც არ ნახულა ნიკოლოზ II-ს დროსაც. დაიმორჩილეს აფხაზეთი, დეპუტატ კაკუბავას ინსინუაციებმა, ფაქტების გადამახინჯებამ და იმ გარემოებამ, რომ კაკუბავამ განაცხადა, რომ არ სცნობს ამ საბჭოს, მოთმინებიდან გამოიყვანა დეპუტატები. შეუძლებელი შეიქნა ადეფოთებულ დარბაზის შეჩერება. დამოუკიდებელთა მთელი ჯგუფი ორატორს მხარს უჭერდა. დეკლარაციის განხილვის მეორე დღეს რამოდენიმე ორატორმა გამოიოლაშქრა იმ ორატორების წინააღმდეგ, რომლებმაც თავის თავზე იკისრეს ხალხის მტრობის როლი. პარლამენტში ორი მიმდინარეობაა: უმრავლესობაა—დემოკრატიული, მეორე ჯგუფი კი დენიკინის რუსეთის მომხრენი. მეორე ჯგუფმა, რომელიც 8 კაცისაგან შესდგება, წამოაყენა მოთხოვნილება: სრული ამნისტია გადასახლებულთა, რომლების დიდი ნაწილი დენიკინის ჯარს ეკუთვნის, ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა აფხაზეთიდან (დალატი), საგანგებო კომისიის და ყველა „ქართველი მოხალისეთა“ გაყვანა, დაწესებულებათა დენაციონალიზაცია (დაწესებულების ნაციონალიზაციის შემთხვევა არ ყოფილა აფხაზეთში) და სხ. ცალკეა ასე ათავებს თავის სიტყვას. „თქვენი თამაშია: „საბჭო და დეკლარაციები“ დიდი სკანდალით დასრულდა.

დეკლარაციის კითხვის დროს დამოუკიდებელთა ჯგუფმა იმ ადგილას, სადაც ორატორი ამტკიცებდა, რომ საერთო არაფერი აქვს მოხალისეთა ჯართან, ერთმა ამ ჯგუფიდანვე წამოძახა: „თქვენ უკვე გქონდათ მათთან მოლაპარაკები“. მესამე დღეს კუკუბავამ პირად საკითხის სიტყვის დროს უოიერი სიტყვებით მიმართა ჩხიკვიშვილს და უწოდა მას ავაზაკი და ეგესპროპრიატორი, რამაც დიდი აღფოთება გამოიწვია მთელ დარბაზში. ზოგიერთი დეპუტატი ისე აღელვა ამ საქციელმა, რომ ადგილიდან წამოიჭრენ და მზად იყვნენ იქვე გასწორებოდნენ ორატორს. კუკუბავა დაცხრა, მაგრამ მაინც თავისებურად განაგრძობს და სიტყვის დასასრულს სტოვებს საბჭოს სხდომის ბოლომდე. მისი ფრაქციული ამხანაგი დეკანოზი გამოვიდა განცხადებით, რომ ყველაფერი ის, რაც სთქვა კუკუბავამ ჩხიკვიშვილის მიმართ მართალი არაა და იცნობს ჩხიკვიშვილს ისეთ ადამიანათ, რომელსაც პატიოსანი პოლიტიკური წარსული აქვს. (ტაშს უკრავს ყველა). შემდეგ წარმოადგინეს რეზოლიუციაა ყველა იმ სოციალისტურ ფრაქციათა ბლოკისა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედიან. დემოანოვმა აღძრა საკითხი: აქვს თუ არა უფლება საბჭოს გადასდგას ასეთი ნაბიჯი და აღნიშნავს, რომ წარსულ ხელშეკრულების თანახმად ის არ სცნობს ამ უფლებას. მას მხარს უჭერს ცაგურია, ანანიას, ჩანიას და მარდანიას ჯგუფი. ამ საკითხის შემდეგ კენჭის ყრა მოხდა. საბჭოს უფლებას მხარს უჭერს 29, თავს იკავებს 6, წინააღმდეგი არავინაა. რეზოლიუციაა შეიცავს სამ მუხლს: პირველი ავტონომიის შესახებ, მეორე ავტონომიის შემოღება სოც.-დემ. დეკლარაციის პლატფორმაზე და მესამე, შრომელი პარტიტეტული კომისია საქართველოს დამფუძნებელ კრებისა და საბჭოს კონსტიტუციის შესამუშავებლად. კერძო თათბირის შემდეგ შეთანხმების მისაღწევად, მეორე მუხლს ხსნიან. კენჭს უყრიან დანარჩენ ორს. პირველი მუხლის კენჭს ყრა ფარულათ ხდება. მოხრეი 27, თავს იკავებს 3, ოთხი ქალალდი ცარიელია. მეორე მუხლი ერთხმად მიიღეს. შესწორებას, სადაც ნათქვამია საქართველოსთან კავშირის დარღვევის გარანტიის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების ცვლილების დროს, ხსნიან, როგორც ზედმეტს. ავტონომიის აქტის მიღების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე დგება და რამოდენიმე წუთის განმავლობაში ტაშს უკრავს და იძახის „ვაშას“. პირველ დღის პირადათ მიესალმენ გენ. გიდეანიშვილს და ჯარს გაუგზავნეს დეპეშა. დღეს მიესალმენ ყოფილ დეპუტატს ჯოლოკაშვილს. შემდეგ გადასდგეს რეალური ხაბიჯები ავტონომიის განხორციელების საქმეში და მოითხოვეს დენიკინის ჯარისაგან გაგრის ოლქის დაცლა მდინარე მზითამდე, აფხაზეთის ისტორიულ საზღვრამდე. ამნისტიის საკითხის შესახებ მიიღეს სოც.-დემ. შემდეგი რეზოლიუციაა: მივმართოთ მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს და ვითხოვთ მოსსენ მათი საქმეები, რომლებსაც ბრალდება აფხაზეთში ბალშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობის მიდება. დანარჩენ პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის საკითხი გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება საბჭოს წევრებისაგან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ

დღეს, სალამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში, დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის, რაიონულ კოლექტივების და ქალაქის ფრაქციის სხდომა, სადაც აქს. დ. თოფურიძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური პრობლემები“.

✦ ᲔᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ თავმჯდომარესაგან შემდეგი რადიო მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტრომ: „თქვენი დეპეშები 1419, 1518 და 1804 ნომრით მივიღეთ. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ მდივანი ჩამოვიდეს“.

✦ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ პროფესიონალურ საბჭოს გამგეობამ 24 მარტის სხდომაზე განიხილა რა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მიერ გამოცხადებული გფიცვის საკითხი, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) მოიწონოს აქს. შეეწუკის გამოვლა ქალაქის მოსამსახურეთა კრებაზე, რომელმაც განაცხადა, რომ ტრამვაის მოსამსახურეები მხარს არ დაუჭერენ გფიცვას, რადგანაც ის არ არის დადასტურებული პროფესიონალურ კავშირის საბჭოს მიერ. 2) ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობა პროტესტს აცხადებს იმ ძალადობაზე, რომელსაც მიმართავ ქალაქის მოსამსახურეთა ადმასრულებელმა კომიტეტის სეკრეტარიატმა, რომელმაც არ დაუშვა ტრამვაის მუშები ქალაქის მოსამსახურეთა კრებაზე სათათბირო ხმით. მე 3) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გფიცვის გამოცხადების პროფესიონალურ კავშირების საბჭოთა უსანქციოთ, შეაქვს დეზორგანიზაცია პროლეტარიატთა წრეში, ტრამვაის პროფესიონალურთა კავშ. გამგეობა პროტესტს აცხადებს ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის ისეთ გამოსვლებზე, რომელიც თავის დემაგოგიურ მოქმედებით სთიშაულ მუშათა წრეებს და აცხადებს, რომ ტრამვაელები არავითარ მატერიალურ და მორალურ დახმარებას არ გაუწევენ გფიცულ მოსამსახურეებს. კავშირი აღნიშნავს და მიაქცევს საბჭოს ყურადღებას, რომ ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის ორგანიზაცია არ არის მოწყობილი სწორათ, რომლის შედეგიც ახლანდელი გფიცვა.

✦ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲮᲝᲪ.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ფრაქცია სთვლის რა დღევანდელ მომენტში ქალაქის მოსამსახურეთა გფიცვას დამღუპველ და მიზანშეუწონელ ნაბიჯად და უპირს რა მთლიანად პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მხარს, მოუწოდებს ამხანაგებს შეუგანებლად მოეკიდნონ ამ საქმეს, იქონიონ ერთი მთლიანი ფრონტი თფ. პროლეტარიატთან პროფ. კავშირთა საბჭოს სახით და მოერიდნენ გფიცვის შეუგნებელ ნაბიჯს, რომელიც სრულებით ამაოებს, ეს ეს ... ...

სთხოვენ ყოფილა იმ აუხანაგებს, რომელთაც ჰქონდათ რაიმე დავალება ფინანსიური, სარედაქციო კომისიების და სხვ. ყველამ თან იქონიონ ანგარიშის წიგნები.

ახალციხის გარშემო

ბაქოს მუსულმან სოციალისტთა ორგანო „ზარია“ 19 მარტის ნომერში ეხება ახალციხის ამბებს და შემდეგს სწერს: „როდესაც ახალციხის კონფლიქტი, რომელიც ეხლა ტრადიციით გადაიქცა, იწყებოდა, ჩვენ გადაჭრით გამოვდიოდით ყოველგვარი აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა აფეთქებულიყვნენ ისინი წარმოებული და წინადადებას ვიძლეოდით მშვიდობიანის გზით გვეძნა მისთვის ლიკვიდაცია.

მაგრამ ნიე რაზეშვილის მთავრობამ (ფაქტიურად ეს ასეა) არც კი მოიწადინა მოესმინა ლაბარაკი კითხვის ნშვიდობიანი გზით გადაჭრაზე და დაიდგა „ურჩია“ დამორჩილების, აჯანყების „აცეცხლითა და მახვილით“ ჩაქრობის თვალსაზრისზე. რამოდენიმე დღის წინად ჩვენ მივიღეთ გულის მომკვლელი ცნობები ახალციხის რაიონიდან, იმის შესახებ, რომ ქართულმა ჯარებმა დაწვეს და გაანადგურეს სოფლები ახალციხემდე და ქალაქ იქითაც. მცხოვრებლები, რომლებიც არ მოელოდენ რესპუბლიკურ ჯარებისგან ასეთ დამოკიდებულებას, რადგანაც მათ არწმუნებდნენ, რომ არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო მშვიდობიან მცხოვრებთ მიმართ, რომ პირიქით მათ დაიცავდნენ, აი ეს მცხოვრებლები გაანადგურეს და გაძარცეს და ზამთრის უყნვაში, წელამდე თოვლში, ისინი იძულებულნი იყვნენ ცოლშვილით გაქცეულ-ყვნენ ტყეებში. ჯარები და ბორჯომ ხაშურის რაიონის გლეხები იტაცებენ ქონებას, მიუდით საქონელი, ურმებით გაქვთ ეს ქონება დაცარიელებულ სოფლებიდან და სხვადასხვა.

შემდეგ ამის დასამტკიცებლად გაზეთს მოჰყავს გენ. კვინიტაძის შტაბის ოფიციალური ცნობები ახალციხის მაზრაში მოქმედებების შესახებ და განაგრძობს:

„როგორც ხედავთ შტაბიც ამტკიცებს, რომ მაზრის მცხოვრებნი გადაიქცნენ ლტოლვილებად, რომ სოფლები დაცარიელებულია. ასე ლაბარაკობს გენერალი კვინიტაძე სამხედრო ენაზე, ეს რომ გადავიღოთ საბოქალაქო ენაზე გამოვა დამსჯელი ექსპედიციების საშინელება, ამას წინად რომ განიცადეს მეფის გენერლებისაგან მეზობელ ადგილების—აჭარის, ართანის და ყარსის—მცხოვრებლებმა.

ნუ თუ ამ გზით სცდილობს საქართველოს მთავრობა დაამყაროს „დემოკრატიული წყობილება“ საქართველოს „განუყოფელ ნაწილებში“ და დაიმსახუროს მათი თანაგრძნობა.

როგორ დაცინვად გაისმის სიტყვები: „ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ახალციხის გლეხობა ბეგების ბატონობისაგან; რესპუბლიკას მათთვის მიაქვს მიწა და ზავი“.

საქართველოს მთავრობის ნოტაში ნათქვამია, რომ „ახალციხის მაზრაში მდგომარეობის პასუხისმგებელი არის ერთად ერთი საქართველოს მთავრობა“ ო. დე მზად ჰქონდეს პასუხი საქართველოს მთავრობას ახალციხის მაზრაში მომხდარ ამბებზე.

ადერბეიჯანის დემოკრატიას არ შეუძლია არ გამოსთქვას ამის გამო თავისი სცხარე პროტესტი. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ ხმას შეუერთდება მთელი ინტერნაციონალური დემოკრატია.

არა ამ გზით, არა „დამსჯელ ექსპედიციებით“ გადაიჭრება სადავო კითხვები.

და თუ ახალციხის ამბები ბ-ნ გენერლების ნამოქმედარია და საქართველოს მთავრობა აქ „არაფერ შუაშია—ამისთანა მდგომარეობა საქმისა მეტად სამწუხარია, რადგანაც ეს ამტკიცებს საქართველოს მთავრობის სისუსტეს, რომელსაც ვერ შეეძლებია თავისი ბნელი ძალების დამორჩილება“.

ყველა შოვინისტი და დემოკრატიის მოძულე ცდილობს ახლა სოციალისტურ ნიღაბს ამოფარაოს. ბაქოელ გაზ. „ზარიაშიც“ ამოფარებიან პეპინოვისთანა აგენტები ოსმალეთისა და ასეთ მოშიშულ წერილებს ათავსებენ ამ გაზეთის ფურცლებზე. ეს სამწუხარია, მაგრამ სამწუხარია პირველყოვლისა თავრის დემოკრატიისთვის, რომელსაც ეს შამი ეძლევა საზრდოთ.

ახალციხე რომ ქართველებით არის დასახლებული, ეს აშკარაა, რომ აქაურმა გლეხებმა საქართველოს დემოკრატიასთან ისურვეს ყოფნა და არა ბეგების სამეფოში, ესეც ფაქტია. მაგ., რიღათ ამხედრებულან თათრის დემოკრატიის სახელით ეს პეპინოვები და ძმანი მისნი? ვის ებრძვიან?

ჩვენ ვიცით, პეპინოვებს აზრათ აქვთ, ეს მაზრები თ ორულ მაზრებთ მოაჩვენონ ხალხს მაგრამ ჩვენ გვიკვირს, როგორ აჰყვა „ზარიას“ დანარჩენი თანამშრომლები ასეთ პროვოკაციას. მოლებს

რომ ადამიანი მხოლოდ სარწმუნოებისაგან შემდგარი შეგონიათ, ეს არ გვიკვირს, მაგრამ ერთი გვიბრძანეთ, რა ფასი აქვს სარწმუნოებას სოციალისტების თვალში? ახალციხის გლეხები კი გარდა სარწმუნოებისა არაფერით არ განირჩევა დანარჩენ ქართველთაგან, არც ორიენტაციით, არც იდეალებით, მისწრაფებით, ენით და სხვ.

ახალციხეში დამსჯელი ექსპედიცია გაგიგიგავნიათო, ეს ბომ ბორია. იქ წავიდა ჯარი ქობლინსკის და მის მიერ შემოყვანილი ოსმალო ასკერების გადასარეკათ, მცხოვრებნი დასამშვიდებლათ და მათდამი უნებურათ მიყენებული ზარალის გამოსარკვევათ, მათი ცხოვრების მოსაწესრიგებლათ დამფუძნებელმა კრებამ სპეციალური კომისია გაგზავნა. ნუ თუ ეს არ იცის „ზარიამ“? და თუ იცის, რათ შამაკს თავის დემოკრატიას?

ჩვენ გულწრფელათ ვურჩევთ „გუშეტს“, რომელიც გაზეთში მონაწილეობს, მიაქციოს ამას სერიოზული ყურადღება.

გაკოს გონაგი

ადერბეიჯანის მთავრობის ორგანო „აზერბეიჯანი“ 20 მარტს № 60 ში სწერს: „ის, რაც ხდება ეხლა ბაქოს ფულის ბაზარზე, არ შეიძლება ახსნილ იქნას რაიმე ფინანსიურ-ეკონომიური მიზეზებით. ამ უკანური ვაკანალიის, ცინიკური გულგრილობის და აფეთქებული სპეკულაციის და ბაქოს ბონებზე აუხსნელ ლაქის წარმოების გასაგებად —ადამიანს შიში ეცათება ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. გაცხარებული სპეკულაციის ფულის ნიშნებზე ხვდება ყველაზე ავადმყოფ ადგილს ჩვენი ისედაც მოშლილი ფულის ტრიალს.

ბაქოს ბონები—ჩვენი ახალშეწყობარი ნიშნები გახდენ რაღაც ბირჟის ვაკანალიის საგნად, რუსეთის ფულის ნიშნებმა აიწიეს 50-დან 130 პროცენტამდე, წინააღმდეგ მათი ნორმალური ღირებულებისა და ალბად თავბრუდამსხმელი სისწრაფით კიდევ უფრო აიწევენ ფასები მათზე და ამით ბაქოს ბონების ფასი უფრო დაიწევს. თფილისის „ამიერ კავკასიის“ ბონებიც კი, რომელიც იბეჭდება ეხლა განსაზღვრული სანქციით ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისა და მაზისადმი არა ჰყავთ პასუხისმგებელი იურიდიული პირი(?), იწევენ ბაქოს ბირჟაზე 11 პროცენტამდე.

ყველა ქუჩები, დუქნები და ტროტუარები გადაიქცენ აუკარა ბირჟად. ქუჩა ადგენს და აწესრიგებს ფულის ტრიალს.

შეუწყნარებელი, მაგრამ მეტად სარფიანი სპეკულაცია ვალიუტაზე მიმართულია იქითკენ, რომ ისედაც ფასდაკარგულმა ბონებმა კიდევ უფრო დაჰკარგონ ფასი. ჩვენში წარმოებულ გიჟურ სპეკულიაციაში ბონებზე არა მცირე როლს თამაშობს ადამიანთა სისულელე და უვიცობა. რად დამყარდა შეხედულობა, რომ „ნიკოლოზისებური“ ფული და „კერენკები“ უფრო მტკიცეა სხვა ფულის ნიშნებზე? ისტორიული მაგალითები მოწმობენ, რომ საბოლოოდ რევოლიუციონურ ეპოქაში ფულის ნიშნებს აქვთ ერთნაირი ღირებულება, გამოშვებულია ისინი ფუდმივი, დროებითი თუ შემთხვევითი მთავრობის მიერ. და როდესაც მოწესრიგდება ფულის ტრიალი, რომელიც ეხლა საერთო ქაოსშია, ეს კი შესაძლებელია მსოფლიო მასშტაბში, რომლის-მიღწევა შეიძლება მხოლოდ ქაო

ქები მოკლებული არიან მმართველობის უფლებას და გადასახადების მოკრების მხრივაც მათი უფლება შეზღუდულია. ქალაქს თვითმართველობს მხოლოდ დამატებითი გადასახადების ნაწილის აკრეფის უფლება ეძლევათ. ჩვენ, ამბობს მომხსენებელი, ამორიგებ ქვეყნის საბიუჯეტო დებულებით ვისარგებლეთ, უარყოფითი მხარეები უკუგაგდეთ და ორივე ქვეყნის საბიუჯეტო დებულებიდან ის ამოვიღეთ, რასაც დადებითი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას შეეფარდება. შემდეგ მოხსენებელი განმარტავს იმ გადასახადებს, რომელიც „ქალაქის საბიუჯეტო უფლებაში“ უნდა იქნეს შეტანილი. ქალაქის ფინანსები შედგება: ადგილობრივ გადასახადებისაგან, ეს არის გადასახადების დადება ქალაქის უძრავ ქონებაზე, უნდა დაწესდეს გადასახადი ადრეთვე უძრავ ქონების სხვის ხელში გადასვლის დროს, იქნება ეს გადასვლა ყიდვით, ჩუქებით თუ სხვა წესით.

დაწესებულ უნდა იქნას გადასახადი მრეწველობაზე, გადასახადი უნდა აიკრიფოს ისეთ დაწესებულებიდანაც, რომელნიც არ შეადგენენ ადამიანის ეუცილებელ მოთხოვნილებას. მაგ., კლუბები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი. ქალაქებს უფლება უნდა მიეცეს სახელმწიფოს მიერ გაწესებულ, შემოსავლის კვალობაზე გადასახადს დაიმატოს გადასახადი ქალაქთა სასარგებლოთ. სახელმწიფომ უნდა დაფაროს ის ხარჯები, რომელსაც ქალაქი გაწევს თავდაცვის მოწყობაზე, სახალხო განათლებაზე და სხვა, რაც შეადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას. ქალაქმა უნდა დაწესოს გადასახადი ისეთ დაწესებულებაზე, რომლითაც სარგებლობენ მოქალაქენი მაგალითად, საავთომყოფოებზე.

ყრილობამ ყველა ეს დებულებანი მიიღო. დადგენილ იქნა შეტანონ დამატება დებულებაში, რომ ქალაქებს მიეცეთ უფლება განსაკუთრებულ პირობებში დააწესონ ერთჯერადი გადასახადი ყრილობამ მოისმინა მოხსენება კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. დადგინეს ეს საკითხი გაირჩეს 21 მარტის სხდომაზე.

რკინის გზაზე

კონტროლიორის ოინი მატარებელში *).

წარსული წლის 29 ენკენისთვეს (ახალი სტილით) თფილისიდან წავიდა საფოსტო მატარებელი № 3 სადგურ კასპში, ვაგონში ხალხი ჯაუჯ-ჯაუჯად ლაპარაკობდა. მე მოვხვდი ისეთ ჯგუფის ახლოს, რომელიც რკინის გზის კონდუქტორ-კონტროლიორებზე ბაასობდა. მათ ბრალს სდებდნენ უდიერათ მოპყრობაში და ქრთამში. მე უფრო რკინის გზის მოსამსახურეებს გამოვესარჩლე, რადგან მათ დამცირებაში და ზნეობრივად გახრწნაში ვხედავდი მთავრობის ავტორიტეტის დაცემას.

და ამიტომ დასამტკიცებელი საბუთები მოვასთხოვე. ამ ლაპარაკის დროს გაისმა კონდუქტორის ხმა: „ბილეთები, ბილეთები მოამზადეთ“-ო. მეც შევუდექი ბილეთის მომზადებას. მოდის წინ კონტროლიორი, უკან მოჰყვება ერთი ახალგაზრდა, რომელიც შეუძლებელი იყო გამომერკვია რა პროფესიას ეკუთვნოდა. მათ უკან კიდევ ერთი თოფით და რევოლვერით შეიარაღებული კაცი მოდის. კონტროლიორი, როგორც გავიგე, გვართ გოგოლაძე, ბილეთების შინჯვის დროს ხშირათ წამოიძახებდა: შენზე „ოვიანოო“ არის 15 მ. და ათი შაური, შენზე 20 მანეთი და ასე. უბილეთოებიც ერთი შეიშმუშნებოდენ და უსიტყვოთ აგებდენ ჯამიზვერილ ქუდში ფულს, რომელიც ამ შუა კაცს ეჭირა ხელში. ქუდი თითქმის ივსო. არავის სათანადო ბარათს არ აძლევდენ. ჩემთან მყოფმა ჯუფმა მიმითითეს ცოცხალ მაგალითზე.—დასამტკიცებელი საბუთი მეტი რადა გინდოდა. მე ვიდარ მოვითმინე და დიდის მოწიწებით და ბოდიშის მოხდით შევეკითხე კონტროლიორს: თქვენ შეიძლება ანგელოზი იყოთ და ეგ ფული არ მიითვისოთ, რაზედაც მე ეკვი არ მებადება, მაგრამ ყველა ხომ ანგელოზი არ არის, სხვას ხომ შეუძლია ბოროტად გამოიყენოს ასეთი ნდობა და ეგ ფული, სულ თუ არა, ნახევარი მაინც ჯიბისკენ გაიგზავროს მეთქი. და რომ ეს ასე არ მოხდეს, მითხარით, როგორი წესით აგროვებენ ფულს უბილეთო მგზავრებისგან, აძლევენ თუ არა სათანადო ბარათებს მგზავრებს? და თუ აძლევენ, თქვენ რატომ არ აძლევთ მეთქ; ან რატომ თვითონ მგზავრებს არ წაიყვანთ სადგურის უფროსთან ფულის გადა ახდევინებლად, თუ ბარათები არა გაქვთ? ამაზე კონტროლიორმა მკაცრად მომიგო: ამ ფულებს მე კასაში წარვადგენო. რომ არ წარუდგენთ?—ეგ თქვენი საქმე არ

*) ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ეს წერილი თავის დროზე ვერ გამოვაქვეყნე. ავტ.

არისო. ამ პასუხის შემდეგ მე დავიწერე რიცხვი, ნომერი მატარებლის (29 სექტემბერი, მატარებელი № 3, 1918 წ.) და დავუკეე. კასპში რომ მივედით, გვარი ვკითხე კონტროლიორს. გვარის ხსენებაზე მე ტუსაღების ვაგონში ამომაყოფინეს თავი, პროვოკატორი ხარ, პროტოკოლი უნდა შეგიდგინოთო. მე მოვსთხოვე შეედგინათ ოქმი კასპში, მაგრამ მან ეს არ ინება. ასე გავიარეთ რამოდენიმე სადგური და კონტროლიორი კი ჩემს თავზეა, რომ ოქმი შეიყენებინათ, ყურადღებასაც არ აქცევდა. არც მოწმეები არ მომაყვანია ვაგონიდან და გამომიცხადა: ხაშურში წადიყვენ და თუ იქაც არ მოვისურვე, მაშინ ფოთში წამოგრძანდებითოო.

ბოლოს გორში გამოჩნდა ერთი ტელეგრაფისტი პანტელ დევდარიანი, რომელმაც კატეგორიულად მოსთხოვა უფროს კონტროლიორს ჩემი იქვე დატოვება და სრულიად განთავისუფლება, რადგან მე თეორმე მიცნობდა ან არა როგორც პროვოკატორს. კონტროლიორი კუდ ამოძუებული გაიპარა, მაგრამ ეს არ კმარა.. ვთხოვე ამ სურათის მოწმე მგზავრებს, რომელნიც მაშინ ჩემთან მიდიოდენ იმ მატარებლით, შემატყობინონ თავიანთი მისამართი „ერთობის“ რედაქციაში. მე ავად გავხდი და კიდევ სხვა საქმე გამომჩნდა და ამიტომ მას მიეცა საშუალება აქამდე განეგრძო თავისი მოღვაწეობა ქრთამის და რესპუბლიკის გაძარცვის სფეროში. საეროდ ეს ალბა მაინც დაისაჯოს და გაძევებულ იქნას სამსახურიდან ზემოსხენებული კონტროლიორი. მასწ ედეგელი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲔᲓ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ნახშირის მაღაროების მუშებმა იდღესასწაულეს რევოლიუციის ორი წლის თავი და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის დღე.

ტყიბულის მუშებიც არ ჩამორჩენ ამ დიად მნიშვნელოვან დღესასწაულს და თავიანთი სიხარული და აღფრთოვანება შეუერთეს მთელი საქართველოს დემოკრატიის ზეიმს.

12 მარტს ტყიბულის სოციალდემოკ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დარაზმულნი წითელი დროშებით გაეშურენ ტყიბულის ბაზარში, გზადაგზა უერთდებოდა სოფლის მუშებიც, ჩაიარეს ტყიბულის ბაზარი რევოლიუციონური სიმღერებით. შემდეგ მოიყარეს თავი ახლად აშენებულ სახალხო სახლში, სადაც შესდგა მიტინგი. მიტინგი გახსნა სოც. დემოკ. ორგანიზაციის სახელით ამხ. მ—ლამ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა საქართ. დამფუძნებელ კრების წევრი ამხ. პ. ბერიშვილი, რომელმაც გრძნობიერე სიტყვით მიმართა მსმენელთ და აუხსნა ამ დღესასწაულის სიდიადე და მნიშვნელობა.

ᲒᲣᲜᲐᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲘᲐᲙᲝᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲘᲫᲔ (ᲘᲠᲐᲜᲘ).

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ (ᲒᲣᲠᲘᲐ).

ᲜᲝᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲘᲜᲐᲠᲘ (ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘ).

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ ᲙᲘᲠᲩᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ ᲙᲘᲠᲩᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Ი. Ა. ᲪᲔᲠ-ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲐᲪᲘᲛᲝᲕᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲐᲚ. Გ. ᲛᲐᲭᲐᲮᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Მ. Ფ. ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Ნ. Გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲫᲐᲚᲘ

Რ. Გ. ᲨᲘᲨᲚᲘ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲚᲔᲕᲘᲩᲘᲝᲠᲚᲝᲕᲡᲙᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲒᲔᲘᲨᲐ

ᲞᲝᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲘᲤᲮᲔᲕᲡ ᲔᲥᲘᲛᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲝᲝᲜ. რევოლიუციის პირველ ხანებში მრავალ საზოგადოებებში თავი იჩინა გაყოფა-განაწილებამ. ბევრი სოფლები ჩამოშორდენ თავიანთ საზოგადოებებს და მიეწერენ სხვებს, ზოგიც სრულიად გამოეყო დე ცალკე საკუთარი საზოგადოება შექმნა. იყო ისეთი მაგალითიც, რომ შეგვიდ სოფლიდან ამოვიკრა რამდენიმე ოჯახი და შეერთდა მეორე საზოგადოებას, რაც სწორ გადაჭრაზ თვალსაზრისით ყოველად დაუშვებელია! ბოლოს ამ მოვლენამ თითქმის ეპიდემიური ხასიათი მიიღო, რასაც ზოგი ჩვენი ამხანაგებიც ამართლებდენ იმ მოსაზრებით, რომ ამას დემოკრატიული თვითგამორკვევის პრინციპი მოითხოვს, მაგრამ გათიშულ სოფლებთა შორის მდგომარეობა მეტათ მწვავდებოდა, თუმცა ამ უკმაყოფილებას დროებით ვამშვიდებით იმ მოტივებით, რომ მალე ერობა შემოვიღოდა და ამ სადავო კითხვას საბოლოოთ ის გადაეჭრიდა.

უკმაყოფილო სოფლები ერობის შემოღებას და მის ავტორიტეტულ სიტყვას მოუთმენლათ მოელოდენ და მართლაც ქუთაისის საგანგებო ერობის ყრილობამ ეს კითხვა სათანადოთ გადაჭრა, მან ცოტა შესწორების გარდა, წვრილ ერთეულებთ ისევ ძველი საზოგადოების ფარგლები დასტოვა, ვინაიდან საერთო ნორმას სრულ წლოვანთა სულადობის რიცხვი საფუძვლად აკმაყოფილებდა.

ერთ ამ გვარ გათიშულ საზოგადოებათ ჩვენს რაიონში ეწერი-იანეთი ითვლებოდა, რომელთა გაყოფას გრძელი ისტორია აქვს და რომელიც სამაზრო ერობის ყრილობამ ისევ შეერთა, ვინაიდან ცალკე ერთეულებთ მათი დატოვება შეუძლებელი იყო მცხოვრებთა რიცხვის სიმცირის გამო.

სამაზრო ერობამ ეს კითხვა პრინციპიალურათ გადაჭრა, მაგრამ პროექტებთ ამის განხორციელება დიათ დარჩა. გადაუწყვეტელია, თუ სად უნდა დარჩეს ამ ერთეულის ადმინისტრატიული ცენტრი. ეი სადავო კითხვა: ამ ნიადაგზე კიდევ მოსალოდნელია განხეთქილება, ვინაიდან ამ სოფლების სურვილი ცენტრის გამოჭრის შესახებ დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. იანეთის მიზანია ცენტრი რკინის გზის ბაქანთან გადატანოს, რომელიც უკიდურეს განაპირა ადგილს წარმოადგენს საზოგადოებისათვის, ეწერს კი ისევ ძველი სასამართლოს ადგილი მიაჩნია მიზანშეწონილათ, რა აც იანეთი თ ვიდანვე ეწ ნააღმდეგებოდა. ამ ნაირათ, ეს ორი აზრი სრულიად შეურიგებელი რჩება. ამიტომ ჩვენის აზრით სამაზრო ყრილობამ უნდა იდვას თავს ამ კითხვის გადაწყვეტა და იმედი ქვაქვს ცენტრის განსაზღვრის დროს უკიდურეს შეუსაბამობას ადგილი არ ექნება და გამოინახება ისეთი ზომიერი გზა, რომელიც შეაერთებს ამ სოფლებს და აიყვანება მაგარი საძირკველი ჩვენს ნორჩ თვითმართველობას და მის ეკონომიურ კულტურულ განვითარებასაც მომავალში ექნება მკვიდრი ნიადაგი მთელი საზოგადოების საკეთილდღეოთ.

Მ. Ძ.

Ხ. ᲨᲣᲨᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ (ᲒᲣᲠᲘᲐ). სოფ. ზემოაკეთში უდროვოთ გარდაცვალა ამხ. მელქისედეკ ხუხუნაიშვილის მეუღლე, ნინა ხუხუნაიშვილისა. განსვენებულის ქმარმა ამხ. მელქისედეკმა დაგმო ქელეხი, უჩვენა ამ სოფლის მცხოვრებთ და სხვებსაც მისაბაძი მაგალითი, და მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავათ შემოწირა სოფ. ზემოაკეთის მომხ. საზ. „მშრომელთა შეღავათის“ საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლათ 2,000 მან., ადგილობრივ სამკითხველოს 200 მ., აკეთის საზოგადო სახალხო სახლის საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლათ 100 მან., წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 100 მან. უკიდურეს გაჭირვებულებს 600 მან. ზემო აღნიშნულ მომხ. საზ. შემოიტანა უპროცენტოთ თავისი მშობლების გარდაცვალებამდე 1000 მ. ადგილობრივი მომხ. საზოგ. „მშრომელთა შეღავათის“ გამგეობამ, გადაწყვიტა ასეთი უხვი შემოწირულება ამხ. მელქისედეკ ბ-ნ ხუხუნაიშვილისა, ნიშნათ სამუდამო მადლობისა იქნ.ს ხედ წარწერით აღნიშნული, ადგილობრივი მომხ. ს. ს. „მშრომელთა შეღავათის ქვის კედლებზე

ხინო ხუხუნაიშვილისა (თოხაძის ასულის) ხსოვნის აღსანიშნავათ შემოსწირეს სოფ. ზემო აკეთის მომხ. საზოგ. „მშრომელთა შეღავადის“ საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლათ 390 მ., ილიკო სამს. თოხაძემ 200 მ., გიორგი ფიფიაშვილმა 100 მან., აღფესი თოხაძემ 50 მ., დიმიტრი ჩხარტიშვილმა 40 მ. ლაჩუთის ამხანაგი დაკრძალვის დღეს გვირგვინის მაგიერ შემოსწირეს ზემო აღნიშნული მიზნისათვის 200 მ.

თეოფანე ᲙᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ.

ᲜᲝᲛᲠᲐᲚᲐᲫᲔᲗᲘ (ᲡᲣᲜᲯᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘ). 2 მარტს, თანახმად სამაზრო ერობის რწმუნებულის მოწერილობისა ნოქალაქევის ორკლასიანი სკოლაში მოხდა ხსენებული საზოგადოების წვრილი საერთო ერთეულის ხმოსნების პირველი ყრილობა. კრება გახსნა ლუხუ გაკუამ. კრებამ აირჩია ერობის ყრილობის მუდმივ თავჯდომარეთ ევტროფი როგავა, მის ამხანაგად ბ. მიქელაძე, მდივნად კ. მელიქაძე. დღიურ წესრიგში იყო კითხვები: გამგეობის არჩევნები, მათი ჯამაგირი და ადგილ მამულო კომისიის არჩევა. ერობის გამგეობაში არჩეულ იქნა მბოლოდ სამი კაცი, რომლებსაც დაეკისრათ ჯამაგირი. გამგეობის თავ ჯდომარეთ არჩეულ იქმნა ვანო ბარქაია. ჯამაგირი თვეში—450 მან. მის ამხანაგათ ერჩინე ბ ლათურია—400 მან., ხოლო მდივნად გრიშა როგავა 500 მან თვეში. სადგილ მამულო კომისიაში არჩეულია 9 ხმოსანი, რომლებმაც უკვე დაიწყეს მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ყველა საზოგადოებების ფარგლებში წვრილი ერობების მოწყობა მძიმეთ დაეწვება ხალხს ფინანსიურის თვალსაზრისით და ამიტომ მას დაეკარგება ის პატივისცემა, რომელიც უნდა ჰქონდეს ერობას. მაგ. ს. ნოქალაქევში 600 კომლია, ერობის გამგეობის ჯამაგირი თვეში 1350 მან. წელიწადში იქნება 15,200 მან. თუ ამას მივუმატებთ კიდევ იმ წვრილ ხარჯებს, რომლებიც აუცილებლათ მოყვება საქმის წარმოებას, ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ხარჯი იქნება წელიწადში 16 000 მან. ამისათვის, ჩვენის აზრით, საკ რობა სამაზრო ერობამ მიიქციოს ამ მოვლენას ჯერეოვანი ყურადღება და მოუყაროს რამოდენიმე საზოგადოებებს ერთი წვრილი ერობის ქვეშ თავი, ასე რომ თვითეულ ერობაში შედიოდეს არა ნაკლებ 2000 კომლისა.

კ. ᲛᲔᲚᲘᲥᲐᲫᲔ.

ᲯᲘᲠᲗᲘᲡ (ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘ) ორგანიზაციის გაზეთების სასარგებლოთ შემოსწირეს: გიორგი შინარაშვილმა 15 მ., პლატონ შავლიაშვილმა 5 მან., მიხო თევდორაშვილმა 5 მან., სიკო ჯაფარაშვილმა 1 მ., იოსებ გეთიაშვილმა 5 მ., აბრია ბერეშვილმა 5 მ., გიორგი მაჭავარიანმა (ზღვდელი) 5 მ., აღექსი ორველაშვილმა 2 მ., გიორგი ორველაშვილმა 1 მან., გიორგი გეთიაშვილმა (მეხრე) 5 მ., სანდრო ორველაშვილმა 1 მ., ია მაჭანაშვილმა 1 მ., ვანო პაპუნაშვილმა 2 მ., მიხო გეთიაშვილმა 1 მ., შაქრო ბერეშვილმა 2 მ., გიორგი ბერეშვილმა 3 მ., ივანე აზდარეშვილ 1 მ., ვანო შავლიაშვილმა 1 მ., ანდრია ბეროშვილმა 2 მ., დათიკო თევდორაშვილმა 2 მ., დათიკო შამადუნაშვილმა 1 მ., მიხა შავლიაშვილმა 5 მ.ნ., საბა ჩაფიძემ 3 მ., იოსებ მ.ნანუნაროეშვილ 1 მ., მოსე ხახოეშვილ 1 მ., ილიკო კობაიანოეშვილ 1 მ., შაქრო შავლიაშვილმა 3 მ., სეინ იმამ ოღლიმ 1 მან., სარ დან გეთიაშვილმა 3 მ., ქარუმ გეთიაშვილმა 3 მ., სანდრო გეთიაშვილმა 3 მ., რეჯეფ ჯაფაშვილმა 1 მ., შაქრო თევდორაშვილმა 5 მ., გიორგი ბადოშვილმა 5 მ., ისაკო გეთიაშვილმა 5 მ., ანდრია გეთიაშვილმა 3 მ.

X.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲣᲯᲣᲜᲘᲡ რაიონში, სოხუმეთთან ომში დაზარალებულ ჯარის-კაცთა ოჯახების სასარგებლოთ შემოწირულების მოგროვება იკისრა ამავე რაიონის ს. დ. ორგანიზაციის ამხანაგებმა.

შეგროვილ იქნა: 1) დაბა სუჯუნა და სოფელ სანოდიოში (შემოწირულების და წარმოდგენის სახით) 1018 მან. 2) სოფელ გალმა ხანათში 1232 მ. 50 კ. 3) გამოლმა-ხანათში 83 მ. 15 კ. 4) პირველ ეწერში 286 მან. 25 კ. 5) მეორე ეწერში 233 მან. 45 კ. 6) სახოტარიოში 288 მ. 40 კ. 7) წალიკარში 233 მან. სულ 3382 მან. 75 კ.

ეს ფული სუჯუნის ს. დ. კოლექტივის თავმჯდომარე ირაკლიონ თოფურიძის მიერ იქნა გაგზავნილი ფოსტით სამხედრო სამინისტროს სახელზე, 1919 წ. 10 მარტს. მიუხედავათ ამისა ბნელმა პირებმა ხალხში დიიწყეს ლაპარაკი, რომ ს. დ. კოლექტივის წევრებს შეგროვილი ფული არსად გაუგზავნიათ, რადგან თავის „ჯიბის სასარგებლოთ“ უნდოდათო და სხვა. ასეთი „პროვაკაციის“ თავიდან ასაცილებლად და გაუგებრობის გასაფანტავათ, სუჯ. რაიონის მცხოვრებთა საყურადღებოთ ვათავსებთ ამ ცნობას გაზეთში.

სუჯუნის ს. დ. რაინის კოლექტივის წევრთა დავალებით მდივანი კოლექტივისა ხიმონ იაკობის ძე მატკავა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ საქონლის სადგურის სოციალდემ. პარტიული კრება დანიშნულია ყოველ ორშაბათობით სადამოს 5 საათზე შაბათის მაგივრათ,—პროფესიონალური კავშირის დარბაზში.

ᲥᲑᲘᲚᲘᲡ საყანო კაბინეტში **ᲗᲕᲚᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲠᲝᲡᲘᲡ ᲫᲘ ᲪᲮᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ** ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და სადამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: ელექტრონის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—85.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ უნივერსიტეტისა

Გ. Გ. ᲛᲔᲒᲠᲐᲖᲘᲐᲜᲪᲘ

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დანიშნებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სადამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ № 23, ტელეფ. 7—92.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Მ. Ფ. ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე სად. 5—7 საათ. ოღლის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ Დ. Ა. ᲨᲐᲣᲠᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შუშაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და სადამოს 5—8 საათამდე. ქალების სადამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოღლის ქ. № 83.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ

Კ. Თ. ᲪᲣᲪᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲥᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

მიზეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შეასახელი ბელგიის ქუჩიდგან—ფოთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, ხაფეილ. (606 და 914 შუშაპუნება) შაშარდე და ხახვეხე ორგანოთა სნეულებანი. სადამოს 5—7 საათ. (25—8)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Გ. ᲬᲝᲚᲓᲨᲢᲔᲘᲜᲘ

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტლისა და ევენვის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფებანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Მ. Გ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Გ. Თ. ᲒᲔᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

**Გ. Თ. ᲛᲔᲒᲠᲐᲖᲘᲐᲜᲪ